სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 სექტემბერი, 2026 წ.

ბრძანება №01-02/185

ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლის პროცესის წარმართვის მიზნით **მოსაწვევ მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის №07-01/42 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს 2026-2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის №06-01/70 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2026 წლის 21 სექტემბრის MES 3 26 0001278183 და 20 სექტემბრის MES 5 26 0001269185, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2026 წლის 22 სექტემბრის MES 5 26 0001285989, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2026 წლის 21 სექტემბრის MES 4 26 0001276122, 18 სექტემბრის MES 5 26 0001266836 და MES 1 26 0001267354, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2026 წლის 21 სექტემბრის MES 3 26 0001278930 სამსახურებრივი ბარათის, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2026 წლის 22 სექტემბრის MES 9 26 0001284335 და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის (დეკანის მ/შ) 22 სექტემბრის MES 4 26 0001284448 სამსახურებრივი ბარათების, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციათა აღწერილობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 31 მარტის №01-02/62 ბრძანების, „ბსუ-ს რექტორის ტიტე არაშიძის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 18 სექტემბრის №01-14/549 ბრძანების და ,,ერაზმუს + პროგრამის ფარგლებში (ადმინისტრაციული მობილობა) ბსუ-ს რექტორის მოადგილე გიორგი ქათამაძის ლატვიაში, ვიძემის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში გამგზავრების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 21 სექტემბრის №01-06/360 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით **გამოცხადდეს ღია კონკურსი მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევად,** წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად (ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის ვაკანტური სასწავლო კურსები, ლექცია/ჯგუფში მუშაობა, ჩატარების ადგილი, ჩასატარებელი საათების ოდენობა და ჩატარების სემესტრი).
2. კონკურსში მონაწილეობის მიზნით, კონკურსანტებმა, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით, **მატერიალური სახით უნდა წარმოადგინონ:**
   ა) განცხადება (შევსებული თანდართული ფორმის - **№2 დანართის** შესაბამისად);
   ბ) პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) ასლი;
   გ) ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3/4);
   დ) CV (შევსებული უახლესი ინფორმაციით და ხელმოწერილი ყოველ გვერდზე);
   ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ბაკალავრის,

მაგისტრის, დოქტორის) სათანადო წესით დამოწმებული ასლი **(შენიშვნა:** განცხადებაში ხაზი გაუსვით შესაბამისი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც თან ერთვის განცხადებას);

ვ) სხვა დოკუმენტი.

3. **კონკურსის ვადები განისაზღვროს** შემდეგნაირად:

ა) **საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენა** - 2026 წლის **24-25 სექტემბერი,** 10:00 - დან 17:00 საათამდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია);

ბ) **კონკურსის ჩატარება** (დოკუმენტაციის შემოწმება, კონკურსანტებთან გასაუბრება / საჭიროების შემთხვევაში საცდელი ლექციის ან ჯგუფში მუშაობის ჩატარება, შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისად) - 2026 წლის **28 სექტემბერი** (კონკურსანტთა სია და გასაუბრების (საჭიროების შემთხვევაში საცდელი ლექციის ან ჯგუფში მუშაობის ჩატარება, შესასრულებელი სამუშაო დატვირთვის სახის შესაბამისად) ჩატარების დრო და ადგილი კონკურსანტებს ეცნობოს საკონკურსო კომისიების მიერ, ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის (კონკურსების ველის) მეშვეობით, გასაუბრების/საცდელი ლექციის ჩატარებამდე არაუგვიანეს 1 დღით ადრე (დასაშვებია კონკურსანტის CV-ში მითითებულ სატელეფონო ნომერზე შეტყობინება ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ინფორმირება);

გ) საკონკურსო კომისიების მიერ **საკონკურსო შედეგების საჯარო გამოცხადება** ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის და შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფის მეშვეობით - არაუგვიანეს 2026 წლის **28 სექტემბერი;**

დ) კონკურსანტთა სააპელაციო საჩივრების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღება ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით - 2026 წლის **29 სექტემბერი,** 10:00 საათიდან **15:00 საათამდე;**

ე) კონკურსანტთა სააპელაციო საჩივრების (პრეტენზიების) განხილვა და საბოლოო შედეგების გამოცხადება ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით - არაუგვიანეს 2026 წლის **29 სექტემბერი.**

4. კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტებთან **შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს 2026-2027 სასწავლო წლის** პროცესის წარმართვის მიზნით შესაბამის ფაკულტეტზე პერსონალის მოწვევისა და მათი სამუშაო (აკადემიური) დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის შემდეგ (შრომითი ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება მოწვეული პირის სამუშაო დატვირთვის შესაბამისი სემესტრის/სემესტრების ხანგრძლივობის შესაბამისად (**შენიშვნა: დასაშვებია:** ა) კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტი არ იქნეს მოწვეული შრომითი ხელშეკრულების გასაფორმებლად, თუკი არ შედგა სტუდენტთა ჯგუფი ან სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული სხვა მიზეზის გამო; ბ) კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტისათვის შეთავაზებული იქნეს შესაბამისი მიმართულებით სხვა სასწავლო კურსები/სხვა ოდენობის აკადემიური (სამუშაო) დატვირთვის შესრულება, გარდა კონკურსის გამოცხადების შესახებ წინამდებარე ბრძანებაში/აქტში მითითებული სასწავლო კურსებისა).

5. წინამდებარე ბრძანების საფუძველზე შერჩეული და დასაქმებული მოწვეული პერსონალის შრომა ანაზღაურდება საათობრივად, სამუშაო (აკადემიური) დატვირთვის ბრძანებისა და შესრულებული საათების შესაბამისად, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 29 სექტემბრის №01-10/112 ბრძანებით განსაზღვრული ტარიფით (ერთი აკადემიური საათი (50 წუთი) - დოქტორის ხარისხის არმქონე სპეციალისტისათვის/მასწავლებლისათვის - 18 ლარი, ხოლო

დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტისათვის/უფროსი მასწავლებლისათვის - 20 ლარი).

6. კონკურსის შედეგად შერჩეული და **დასაქმებული** (მოწვეული პირი) **ვალდებულია,** მისი შრომითი (აკადემიური) დატვირთვის გათვალისწინებით, **შეასრულოს ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი ფუნქციები, მათ შორის:**

   ა) ლექციის / პრაქტიკულის / სემინარის /ჯგუფში სამუშაოს / კურაციული / ლაბორატორიული სამუშაოს დაგეგმვა, მომზადება და ჩატარება, სამუშაო საათობრივი დატვირთვის ბრძანებისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით;

   ბ) შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხების მომზადება და საგამოცდო ნაშრომების გასწორება;

   გ) ბსუ-ს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა, რაც გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან, შრომითი ხელშეკრულებიდან და ბსუ-ს რეგულაციებიდან, რომლებიც განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდის ველებში „იურიდიული ცნობარი" და „სტუდენტთა გზამკვლევი" (ბსუ-ს შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", „ტურნიტინის პროგრამის ადმინისტრირების წესი", „აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი" და სხვა).

7. შეიქმნას **საკონკურსო კომისიები** ფაკულტეტების/დარგობრივი დეპარტამენტების მიხედვით წინამდებარე ბრძანების №**3 დანართის** შესაბამისად და დამტკიცდეს მათი მუშაობის წესი, წინამდებარე ბრძანების №**4 დანართის შესაბამისად.**

8. ბსუ-ს ფაკულტეტების **დეკანებს** დაევალოთ 2026 წლის **30 სექტემბრის** ჩათვლით უზრუნველყონ 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს პერსონალის/ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული პირებისა და გამარჯვებული კონკურსანტების საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ სამსახურებრივი ბარათების წარმოდგენა.

9. დაევალოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების ტექსტის მომზადება და ვებგვერდზე განთავსებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის მიწოდება.

10. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე, ხოლო საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) - ამ სამსახურთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

11. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (გიორგი ქათამაძე).

12. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. № 30).

ბსუ-ს რექტორის მოადგილე,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **თამარ სირაძე**

„ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოსაწვევ მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 23 სექტემბრის №01-02/185 ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შესასრულებელი **ვაკანტური** სამუშაო საათები (სამუშაო დატვირთვა)

1. ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

№	**ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა** (რომელზეც უნდა შესრულდეს საათობრივი სამუშაო)	**სასწავლო კურსის დასახელება**	**შესასრულებელი საათობრივი სამუშაო დატვირთვა**		**სულ შესასრულებელი** (საკონტაქტო) **საათი**	**კონკურსანტისათვის განსაზღვრული მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები** (წარმოსადგენი დოკუმენტაცია/მონაცემები)	**2026-2027 სასწ. წელს სასწავლო კურსის განხორციელების სემესტრი,** **სამუშაო** (შესრულების) **ადგილი**
			ლექცია	ჯგ. მუშაობა/ლაბორატორიული, პრაქტიკა			
მათემატიკის დარგობრივი დეპარტამენტი							
1	აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მათემატიკა აგრარული მეცნიერებისათვის	15		15	მათემატიკის მაგისტრის ხარისხი/მაგისტრთან გათანაბრებული; ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება.	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

2	სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მათემატიკა სურსათის ტექნოლოგებისათვის	15		15	მათემატიკის მაგისტრის ხარისხი/მაგისტრთან გათანაბრებული; ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება.	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
3	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მათემატიკა ბიზნესში I		120	120	მათემატიკის მაგისტრის ხარისხი/მაგისტრთან გათანაბრებული; ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება.	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი							
1	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი B2.1.1		45	45	მაგისტრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით; შესაბამისი ენის სწავლების გამოცდილება.	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
2	ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი A1.1/A1.2		90	90	მაგისტრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით; შესაბამისი ენის სწავლების გამოცდილება.	შემოდგომის/გაზაფხულის სემესტრი ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

3	მშენებლობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი A2.1/A2.2		90	90	მაგისტრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით; შესაბამისი ენის სწავლების გამოცდილება.	შემოდგომის/გაზაფხულის სემესტრი ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
4	აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი A1.1/ A1.2		90	90	მაგისტრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით; შესაბამისი ენის სწავლების გამოცდილება.	შემოდგომის/გაზაფხულის სემესტრი ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
5	ელექტრონიკა, ტელეკომუნიკაცია და ელექტროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი A2.1/ A2.2		90	90	მაგისტრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით; შესაბამისი ენის სწავლების გამოცდილება.	შემოდგომის/გაზაფხულის სემესტრი ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
6	ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	გერმანული ენის პრაქტიკული კურსი (არჩევითი)		120	120	მაგისტრის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით; შესაბამისი ენის სწავლების გამოცდილება.	შემოდგომის/გაზაფხულის სემესტრი ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

კომპიუტერულ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტი							
1	კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	დაპროგრამების ენა - JAVA		60	60	უმაღლესი განათლება კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით ან უმაღლესი განათლება მათემატიკის, ფიზიკის, ინჟინერიის მიმართულებით და დამატებითი პროგრამა კომპიუტერულ მეცნიერებებში, ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ.	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
2	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ბიზნესის საინფორმაციო სისტემები		180	180	უმაღლესი განათლება კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით ან უმაღლესი განათლება მათემატიკის, ფიზიკის, ინჟინერიის მიმართულებით და დამატებითი პროგრამა კომპიუტერულ მეცნიერებებში, ცნობა	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

						სამუშაო გამოცდილების შესახებ.	
3	ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ინფორმაციული ტექნოლოგიები ფინანსისტებისათვის		120	120	უმაღლესი განათლება კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით ან უმაღლესი განათლება მათემატიკის, ფიზიკის, ინჟინერიის მიმართულებით და დამატებითი პროგრამა კომპიუტერულ მეცნიერებებში, ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ.	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
4	კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	სერვერული ოპერაციული სისტემები Microsoft Windows პლატფორმაზე	15	60	75	უმაღლესი განათლება კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით ან უმაღლესი განათლება მათემატიკის, ფიზიკის, ინჟინერიის მიმართულებით და დამატებითი პროგრამა კომპიუტერულ მეცნიერებებში, ცნობა სამუშაო გამოცდილების	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

						შესახებ.	
5	კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	კომპიუტერის არქიტექტურა		60	60	უმაღლესი განათლება კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით ან უმაღლესი განათლება მათემატიკის, ფიზიკის, ინჟინერიის მიმართულებით და დამატებითი პროგრამა კომპიუტერულ მეცნიერებებში, ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ.	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
6	კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	WEB ტექნოლოგიები	15	120	135	უმაღლესი განათლება კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით ან უმაღლესი განათლება მათემატიკის, ფიზიკის, ინჟინერიის მიმართულებით და დამატებითი პროგრამა კომპიუტერულ მეცნიერებებში, ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ.	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

№	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/სწავლების საფეხური	სასწავლო კურსის დასახელება	შესასრულებელი საათობრივი სამუშაო დატვირთვა		სულ შესასრულებელი (საკონტაქტო) საათი	2026-2027 სასწ. წელს სასწავლო კურსის განხორციელების სემესტრი / სამუშაო (შესრულების) ადგილი
			ლექცია	ჯგ. მუშაობა		
ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	საუნივერსიტეტო	ქართული ენის სპეციალური კურსი	30	90	120	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
2	ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ფოტოჟურნალისტიკის საფუძვლები და პრაქტიკუმი	15	30	45	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
3	ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მედიამენეჯმენტი	15	30	45	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
4	ციფრული მედია და ინოვაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	ვიზუალური თხრობა	15	15	30	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

ევროპეისტიკის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ინგლისური ლიტერატურა XX ს	60		60	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
2	ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ამერიკული ლიტერატურის მოკლე კურსი (პურიტანიზმიდან პოსტმოდერნიზმამდე)	60		60	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
3	რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	იტალიური ენის ინტეგრირებული კურსი B1.1	90		90	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
4	რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	იტალიური ენის ინტეგრირებული კურსი B1.2	90		90	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
5	რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	საქმიანი კომუნიკაცია იტალიურ ენაზე (არჩევითი)	45		45	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

ფილოსოფიის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	ფილოსოფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ფილოსოფიის ისტორია		15	15	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
2	ფილოსოფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	შუა საუკუნეების ფილოსოფია		15	15	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
3	ფილოსოფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ანტიკური ფილოსოფია		15	15	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	საქართველოს ისტორია	15	15	30	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

№	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/სწავლების საფეხური	სასწავლო კურსის დასახელება	შესასრულებელი საათობრივი სამუშაო დატვირთვა		სულ შესასრულებელი (საკონტაქტო) საათი	2026-2027 სასწ. წელს სასწავლო კურსის განხორციელების სემესტრი / სამუშაო (შესრულების) ადგილი
			ლექცია	ჯგ. მუშაობა/პრაქტიკა, ლაბორატორიული		
ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	საბუნებისმეტყველო განათლება მდგრადი განვითარებისთვის	5	40	45	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
2	ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	კონსერვაციული ბიოლოგია		30	30	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
3	ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ბიოლოგიის შესავალი		24 სთ ჯ/მ 12 სთ ლაბ	36	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
4	ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მდგრადი განვითარების გლობალური და ეროვნული ასპექტები		30	30	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

5	ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	სასწავლო-საველე პრაქტიკა მცენარეთა და ცხოველთა მრავალფეროვნებაში		12	12	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
6	ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ეკოლოგია ჩვენი დროის პრობლემები	15	30	45	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
7	ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	საწარმოო-ლაბორატორიული პრაქტიკა		20	20	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
8	მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	მოდული- ჰომეოსტაზი		18	18	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	ორთოპედიული სტომატოლოგიის პროპედევტიკა		18	18	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
2	სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია		120	120	შემოდგომის სემესტრი,

						ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
3	სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	თავისა და კისრის ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული მიდგომები		45	45	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
4	სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	ქირურგიული სტომატოლოგია		133	133	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
5	სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	ორთოდონტია		87	87	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
6	სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	პრეკლინიკური ენდოდონტია		87	87	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
7	სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	ენდოდონტიის პროპედევტიკა		87	87	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მტკიცებითი მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია	20	10	30	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
შინაგანი მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	პირველადი სამედიცინო დახმარება	5	23	28	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
2	ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ფარმაკოთერაპია	20	80	100	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
3	ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ფარმაცევტული ეთიკა და დეონტოლოგია		20	20	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
4	მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	მოდული-ქცევათმეცნიერება - სამედიცინო ფსიქოლოგია	8	15	23	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

5	მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	პრაქტიკა შინაგან მედიცინაში		200	200	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
6	მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	მოდული-პედიატრია (კერძო პედიატრია და ბავშვთა ქირურგია)		118	118	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
7	მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	პედიატრია - პრაქტიკა		270	270	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
8	მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	სამედიცინო ტურიზმის საფუძვლები		30	30	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
ქირურგიის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	მოდული ოფთალმოლოგია-ოტორინოლარინგოლოგია		52	52	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
2	მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	სისხლძარღვთა ქირურგია ლექცია	9	105	114	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

3	მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	მოდული - კვება და მონელება (გასტროენტეროლოგია და ქირურგია)		102	102	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
4	მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა	კლინიკური უნარები 1		144	144	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
5	ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა	ზოგადი ქირურგია		30	30	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
გეოგრაფიის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	საქართველოს ტურიზმის გეოგრაფია		30	30	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
2	გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	შავი ზღვის გეოგრაფია და ეკოლოგიური პრობლემები		30	30	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
კრიტიკული მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა	ტრავმატოლოგია	15	45	60	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

4. ტექნოლოგიური ფაკულტეტი						
№	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/სწავლების საფეხური	სასწავლო კურსის დასახელება	შესასრულებელი საათობრივი სამუშაო დატვირთვა		სულ შესასრულებელი (საკონტაქტო) საათი	2026-2027 სასწ. წელს სასწავლო კურსის განხორციელების სემესტრი / სამუშაო (შესრულების) ადგილი
			ლექცია	ჯგ. მუშაობა/პრაქტიკა		
ინჟინერიისა და მშენებლობის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ინოვაციები და მეწარმეობის საფუძვლები		30	30	გაზაფხულის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი						
№	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/სწავლების საფეხური	სასწავლო კურსის დასახელება	შესასრულებელი საათობრივი სამუშაო დატვირთვა		სულ შესასრულებელი (საკონტაქტო) საათი	2026-2027 სასწ. წელს სასწავლო კურსის განხორციელების სემესტრი / სამუშაო (შესრულების) ადგილი
			ლექცია	ჯგ. მუშაობა/პრაქტიკა		
საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	რისკები და დაზღვევა		120	120	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტსა და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი		60	60	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
2	ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მენეჯმენტის საფუძვლები		60	60	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
3	საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	მენეჯმენტის საფუძვლები		60	60	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი,

						რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და საგადასახადო საქმის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ეკონომიკური ანალიზი	15	30	45	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
2	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	აუდიტის საფუძვლები	15	60	75	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
3	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა		75	75	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
4	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ეკონომიკური ანალიზი	15	30	45	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
5	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ფინანსური აღრიცხვა	15	60	75	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
6	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში	30	120	150	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის

						ქ. №32/35
7	აღრიცხვა, აუდიტი, დაბეგვრის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	შრომის ბაზრის ანალიზი	15	15	30	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
8	აღრიცხვა, აუდიტი, დაბეგვრის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	სამეცნიერო კვლევის მეთოდები და დიზაინი	7	14	21	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

6. იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

№	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/სწავლების საფეხური	სასწავლო კურსის დასახელება	შესასრულებელი საათობრივი სამუშაო დატვირთვა		სულ შესასრულებელი (საკონტაქტო) საათი	2026-2027 სასწ. წელს სასწავლო კურსის განხორციელების სემესტრი / სამუშაო (შესრულების) ადგილი
			ლექცია	ჯგ. მუშაობა/პრაქტიკა		
სამართლისა და საჯარო მმართველობის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ადმინისტრაციული სამართალდარღვევები	15	30	45	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
ფსიქოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი						
1	კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა	კოგნიტურ ბიჰევიორული ფსიქოთერაპია		15	15	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35
2	ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა	ფსიქოთერაპიის საფუძვლები		60	60	შემოდგომის სემესტრი, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

„ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოსაწვევ მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 23 სექტემბრის №01-02/185 ბრძანების

დანართი №2

ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის განმახორციელებელი მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის მონაწილე კონკურსანტის **საკონკურსო განაცხადი**	
განმცხადებლის (კონკურსანტის) შესახებ პერსონალური მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, მოქალაქეობა, მისამართი, ტელეფონი, ელფოსტა	
სახელი და გვარი:	
პირადი ნომერი:	
დაბადების თარიღი:	
მოქალაქეობა:	
მისამართი:	რეგისტრაციის მისამართი:
	ფაქტობრივი მისამართი:
ტელეფონი:	
ელფოსტა:	
მსურს მონაწილეობა მივიღო ,,ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე **2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის** სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოსაწვევ მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევ ღია კონკურსში და დავსაქმდე, შემდეგი ვაკანტური სასწავლო კურსების (საათობრივი სამუშაო დატვირთვის) შესრულების მიზნით: ..... *(ჩაწერეთ შესაბამისი ვაკანტური სასწავლო კურსის დასახელება)*	
ბსუ-ს ფაკულტეტის დასახელება:	
ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამა:	
კონკურსის გამოცხადების ბრძანებაში აღნიშნული **ვაკანტური სასწავლო კურსის დასახელება** და საათების რაოდენობა (რომელიც მითითებულია კონკურსის ბრძანებაში და რომლის შესრულება სურს კონკურსანტს)	

ბსუ-ს ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის და ბსუ-ს სხვა ძირითადი რეგულაციების გაცნობის შესახებ

განმცხადებლის (კონკურსანტის) დადასტურება

კონკურსანტი აცხადებს, რომ წინამდებარე საკონკურსო განცხადების წარმოდგენამდე **გაეცნო** ბსუ-ს წესდებას, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკას, ბსუ-ს ეთიკის კოდექსს, **ბსუ-ს შინაგანაწესს** (რომელიც ბსუ-ში დასაქმებისა და შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში განიხილება შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), **ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას,** ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის №07-01/42 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესს“, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს“, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციას, ასევე კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებაში აღნიშნულ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge, ველში ,,იურიდიული ცნობარი“)

ვადასტურებ ხელმოწერით: ----------

პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე კონკურსანტის თანხმობის განაცხადი

კონკურსანტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს თანხმობას,** ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის და ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, ამ განცხადებაში აღნიშნულ ღია კონკურსში მონაწილეობის მიზნებისათვის და კონკურსის შედეგების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ში პერსონალის მართვის პოლიტიკის/სამსახურში მიღების შესახებ საუნივერსიტეტო რეგულაციებით გათვალისწინებული პროცედურების/საქმიანობის/ვალდებულებების განხორციელების მიზნებისათვის, მათ შორის ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციისა ან/და წინამდებარე განაცხადში აღნიშნული სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

კონკურსანტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს თანხმობას,** რომ ინფორმირებულია **მისი პერსონალური მონაცემების შენახვის ვადების** თაობაზე, კერძოდ, მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდება და შეინახება ამ განცხადებაში აღნიშნული კონკურსის მიმდინარეობის და მისი დასრულების შემდგომ პერიოდში, მონაცემების დამუშავების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი დროით, ბსუ-ს საქმისწარმოების ინსტრუქციითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და წესით.

კონკურსანტი, აგრეთვე, **ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ,** რაც მათ შორის გულისხმობს უფლებამოსილებას, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ ბსუ-ს მიერ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, თუ აღნიშნული მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

კონკურსანტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს**, **რომ არ არის** „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის **ნასამართლევი პირი ან/და პირი,** რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე **სასამართლომ ჩამოართვა** საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება **და აცხადებს თანხმობას,** კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში **უმოკლეს ვადაში წარმოადგინოს** ნასამართლობის ცნობა, რაც გათვალისწინებულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით და ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილებით.

ვადასტურებ ხელმოწერით: ----------

საკონკურსო განაცხადზე თანდართული დოკუმენტები

(ფურცლების რაოდენობის მითითებით)

1. პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) ასლი - (-- ფურცელი)
2. ფერადი ფოტოსურათი (3/4) – (-- ფურცელი);
3. CV (შევსებული უახლესი ინფორმაციით და ხელმოწერილი ყოველ გვერდზე) – (-- ფურცელი);
4. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორის) სათანადო წესით დამოწმებული ასლი (**შენიშვნა:** განცხადებაში ხაზი გაუსვით შესაბამისი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც თან ერთვის განცხადებას) - – (-- ფურცელი)
5. სხვა დოკუმენტი: -------

საკონკურსო განცხადების შევსების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	

კონკურსანტის ხელმოწერა:

„ბსუ-ს <u>უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით</u> მოსაწვევ მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 23 სექტემბრის №01-02/ 185 **ბრძანების**

დანართი №3

2026-2027 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოსაწვევი პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების მიზნით შექმნილი
საკონკურსო და სააპელაციო კომისიები
(ბსუ-ს ფაკულტეტების/დარგობრივი დეპარტამენტების მიხედვით)

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო და სააპელაციო კომისიები		
ფაკულტეტის კომისიები (საერთო)	**საკონკურსო კომისია**	1. პროფესორი თამარ სირაძე - თავმჯდომარე; 2. პროფესორი მაია კიკვაძე - მდივანი; 3. ასოცირებული პროფესორი ვარდო ბერიძე - კომისიის წევრი; 4. პროფესორი ჯემალ კარალიძე - კომისიის წევრი.
	სააპელაციო კომისია:	1. პროფესორი მამია ფაღავა - თავმჯდომარე; 2. პროფესორი მარინე სიორიძე - მდივანი; 3. ასოცირებული პროფესორი ლალი ანთიძე - კომისიის წევრი; 4. პროფესორი ნუგზარ ზოსიძე - კომისიის წევრი.
ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საკონკურსო და სააპელაციო კომისიები		
ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი	**საკონკურსო კომისია**	1. ასოცირებული პროფესორი ნინო სამნიძე - თავმჯდომარე; 2. ასისტენტ-პროფესორი ლეილა დიასამიძე - მდივანი; 3. ასოცირებული პროფესორი მედეა დიასამიძე - წევრი; 4. ასისტენტ-პროფესორი თეონა თედორაძე - წევრი; 5. ასოცირებული პროფესორი თათია ნაკაშიძე-მახარაძე - წევრი.

მათემატიკის დარგობრივი დეპარტამენტი	საკონკურსო კომისია	1. პროფესორი დალი მახარაძე- თავმჯდომარე; 2. ასისტენტ-პროფესორი გიული თავდგირიძე- მდივანი; 3. ასოცირებული პროფესორი მზევინარ ბაკურიძე- წევრი; 4. ასოცირებული პროფესორი მაია ძაძამია - წევრი; 5. ასოცირებული პროფესორი რუსლან ცინარიძე - წევრი.
კომპიუტერულ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტი	საკონკურსო კომისია	1. ასოცირებული პროფესორი მიხეილ დონაძე - თავმჯდომარე; 2. ასოცირებული პროფესორი ვახტანგ ბერიძე -მდივანი; 3. ასოცირებული პროფესორი გულადი ფარტენაძე - კომისიის წევრი;
ფაკულტეტის კომისიები (საერთო)	სააპელაციო კომისია	1. ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჯაბნიძე - თავმჯდომარე; 2. ასოცირებული პროფესორი ნანი მამულაძე - მდივანი; 3. ასოცირებული პროფესორი ზებური სურმანიძე - წევრი; 4. ასოცირებული პროფესორი ნინო სვანიძე - წევრი.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საკონკურსო და სააპელაციო კომისიები		
ფაკულტეტის კომისიები (საერთო)	საკონკურსო კომისია	1.პროფესორი ნერიმან ცინცაძე- თავმჯდომარე; 2. ასოცირებული პროფესორი ეთერ სარალიძე - მდივანი; 3.ასისტენტ-პროფესორი ხათუნა ჭიჭილეიშვილი-წევრი; 4. ასოცირებული პროფესორი - ლელა ბერიძე - წევრი; 5. პროფესორი ნატო ზოსიძე - წევრი; 6. ასოცირებული პროფესორი ფრიდონ ჯაფარიძე - წევრი; 7. ასოცირებული პროფესორი ნაზი თურმანიძე - წევრი.
	სააპელაციო კომისია	1. პროფესორი რუსუდან ხუხუნაიშვილი - თავმჯდომარე; 2. ასოცირებული პროფესორი თეა ქოიავა მდივანი; 3. პროფესორი დავით ბარათაშვილი - წევრი.

ტექნოლოგიური ფაკულტეტის საკონკურსო და სააპელაციო კომისიები		
ფაკულტეტის კომისიები (საერთო)	საკონკურსო კომისია	1. პროფესორი გაიოზ ფარცხალაძე - კომისიის თავჯდომარე; 2. პროფესორი გოჩა ჩავლეშვილი - კომისიის მდივანი; 3. პროფესორი ენვერ ხალვაში - წევრი.
	სააპელაციო კომისია	1. პროფესორი დავით ჩხაიძე- თავმჯდომარე; 2. ასოცირებული პროფესორი მარინა ჩხარტიშვილი - მდივანი; 3. ასისტენტ - პროფესორი მარიამ ღომიძე - წევრი.
იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო და სააპელაციო კომისიები		
ფაკულტეტის კომისიები (საერთო)	საკონკურსო კომისია	1. ასოცირებული პროფესორი ომარ ფარტენაძე - თავმჯდომარე; 2. ასოცირებული პროფესორი ნუგზარ ფუტკარაძე - მდივანი; 3. ასოცირებული პროფესორი გივი აბაშიძე - წევრი; 4. პროფესორი ქეთევან ბერიძე - წევრი; 5. ასოცირებული პროფესორი რუსუდან კეჭაყმაძე - წევრი.
	სააპელაციო კომისია	1. პროფესორი ლევან ჯაყელი - თავმჯდომარე; 2. ასოცირებული პროფესორი რუსუდან ბერიძე- მდივანი; 3. პროფესორი მურმან გორგოშაძე - წევრი; 4. პროფესორი ადამ მახარაძე - წევრი; 5. ასოცირებული პროფესორი მაია თოიძე - წევრი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საკონკურსო და სააპელაციო კომისიები		
ფაკულტეტის კომისიები (საერთო)	საკონკურსო კომისია	1.ასოცირებული პროფესორი ირინე თავაძე - თავმჯდომარე; 2. ასოცირებული პროფესორი ნატო ჯაბნიძე - მდივანი; 3. პროფესორი ვაჟა ვერულიძე - წევრი; 4. ასოცირებული პროფესორი ნანული მახარაძე - წევრი.
	სააპელაციო კომისია	1. პროფესორი ნათელა წიკლაშვილი - თავმჯდომარე; 2. ასოცირებული პროფესორი რამინ ცინარიძე - მდივანი.

,ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოსაწვევ მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 23 სექტემბრის №01-02/185 ბრძანების

დანართი №4

საკონკურსო და სააპელაციო კომისიების მუშაობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ“) საგანმანათლებლო პროგრამებზე **2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სასწავლო პროცესის** (ვაკანტური სასწავლო კურსების) წარმართვის მიზნით ღია კონკურსის წესით მოსაწვევ მასწავლებელთა პერსონალის (მასწავლებელი/უფროსი მასწავლებელი) შერჩევის მიზნით შექმნილი საკონკურსო და სააპელაციო კომისიების მუშაობის რეგულაციას.

მუხლი 2. კომისიის შემადგენლობა და ფუნქციები

1. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

2. კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება **არანაკლებ 3 წევრით,** მათ შორის კომისიის თავმჯდომარით და კომისიის მდივნით. დასაშვებია **სააპელაციო კომისიის** 2-წევრიანი შემადგენლობა. ხმების გაყოფის შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

3. კომისიის ყველა სხდომა არის დახურული და კომისიის წევრები ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალურობა და არ გაამჟღავნონ ინფორმაცია საბოლოო შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე.

4. კომისიის ფუნქციებია:

ა) კონკურსის პროცედურის ორგანიზება, დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) კონკურსანტების განცხადებების განხილვა და კონკურსანტებთან გასაუბრება (საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია მოითხოვოს კონკურსანტის მიერ საცდელი ლექციის ან ჯგუფში მუშაობის ჩატარება (შესასრულებელი დატვირთვის სახის შესაბამისად);

გ) სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნა;

დ) კონკურსის შედეგების წარდგენა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანისათვის, მისი საჯარო გამოცხადება ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და ბსუ-ს ვებგვერდზე, ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად.

5. კომისიის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს საკონკურსო კომისიის მუშაობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა, საკონკურსო კომისიის სხდომების დანიშვნა, ჩატარების ადგილისა და დროის განსაზღვრა; სხდომებისათვის დოკუმენტაციისა და მასალების მომზადების კონტროლი; სხდომების წარმართვა კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის საფუძველზე.

6. კომისიის მდივანმა უნდა უზრუნველყოს:

ა) კომისიის წევრებისათვის სხდომების დროისა და ადგილის შეტყობინება;

ბ) კომისიის წევრების საჭირო მასალებითა და დოკუმენტაციით უზრუნველყოფა;

გ) კომისიის მუშაობის ოქმების წარმოება და შესაბამისი საოქმო გადაწყვეტილებების ამ წესითა და კონკურსის გამოცხადების სამართლებრივი აქტის შესაბამისად საჯარო გავრცელება;

დ) კონკურსანტების გასაუბრების განრიგის შესახებ ინფორმაციის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება და კონკურსანტების ინფორმირება;

ე) საკონკურსო კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის დავალებების შესრულება.

7. **კომისია უფლებამოსილია:**

ა) კონკურსანტს მოსთხოვოს მის მიერ წარმოდგენილ განაცხადში ან სხვა მასალაში მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების კომისიის მიერ დადგენილ ვადებში წარდგენა;

ბ) კონკურსიდან მოხსნას კონკურსანტი, თუ: წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს არასწორ ინფორმაციას; წარმოდგენილი დიპლომი არ შეესაბამება შესასრულებელი სამუშაოს პროფილს ან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში კონკურსანტმა არ/ვერ წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტები; არ გამოცხადდა ან უარი განაცხადა გასაუბრებაზე ან/და საკონკურსო კომისიის მიერ მოთხოვნილი საცდელი ლექციის ან ჯგუფში მუშაობის (შესასრულებელი დატვირთვის სახის შესაბამისად) ჩატარებაზე.

მუხლი 3. კომისიის გადაწყვეტილებაუნარიანობა და სხდომის ოქმი

1. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრების უმრავლესობა. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში სხდომა ინიშნება სხვა დროს.
2. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, ხოლო კომისიის დასკვნას (გადაწყვეტილებას) ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.
3. კომისიის სხდომების ოქმებში უნდა დაფიქსირდეს:

ა) სხდომის თარიღი;

ბ) დამსწრეთა შემადგენლობა და დღის წესრიგი;

გ) საკითხის განხილვის მოკლე შინაარსი;

დ) სხდომაზე კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება.

4. შერჩეულ კანდიდატად ჩაითვლება კონკურსანტი, რომელსაც ხმას მისცემს საკონკურსო კომისიის წევრთა უმრავლესობა.
5. კომისიის სრული დოკუმენტაცია (კონკურსანტთა განცხადებები, დოკუმენტაცია და ოქმები), კონკურსის დასრულებისა და შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ, შესანახად გადაეცემა ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).